ბაზისბანკი
BASISBANK

№.20.09/02 20 სექტემბერი, 2012 წელი

თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურს“
(მის: საქართველო, თბილისი 0160, ჟ.შარტავას 7)

მოგახსენებთ, რომ სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ შპს „აფთიაქის“ სასარგებლოდ გაცემულია ნებართვა უძრავ ნივთზე (მდებარე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N1, საკადასტრო კოდი: 01.17.01.093.001) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით (ბრძანება N310531). აღნიშნული ნებართვის ფარგლებში, სს „პრივატბანკმა“ (შპს „აფთიაქს“ ზემოაღნიშნული ფართი იჯარით აქვს გაცემული სს „პრივატბანკის“ სასარგებლოდ) შენობის სახურავზე მოახდინა გარე რეკლამის განთავსება. ბრძანების მე–4 პუნქტის თანამხად, დამკვეთი ვალდებულია, ნებართვის გაცემიდან 1,5 თვის ვადაში სსიპ „თბილისის არქიტექტურის სასმახურს“ წარუდგინოს უძრავი ნივთის თანამესაკუთრეთა თანხმობა სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგახსენებთ, რომ სს „ბაზისბანკი“, რომელიც ფლობს უძრავი ქონების ძირითად ნაწილს (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იხილეთ თანდართული სახით) აცხადებს უარს ზემოთ მითითებული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით და გთხოვთ, უზრუნველყოთ N310531 ბრძანების გაუქმება.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის.

დანართი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (3 ფ.)

პატივისცემით,

ლევან გარდაფხაძე
დირექტორი

საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1; ტელ.: (995 32) 2 922 922, ფაქსი: (995 32) 2 986 548
1, Ketevan Tsamebuli Ave., 0103 Tbilisi, Georgia; Tel.: (995 32) 2 922 922, Fax: (995 32) 2 986 548